# თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# სილაბუსი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური
**კათედრა:** პედაგოგიკა–მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული
**სასწავლო კურსის დასახელება:** ინკლუზიური განათლება

**სასწავლო კურსის კოდი** P.2.P.11
**კრედიტების რაოდენობა ECTS** 5 კრედიტი
**სასწავლო კურსი სტატუსი:** სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის


**ლექტორი:** 1. ასოც. პროფ: მოდებაძე ნინო, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ტელ: 855 452794 e-mail: ninomodebadze@ rambler.ru
სტუდენტებთან შეხვედრების განრიგი: სამშაბათი, პარასკევი 14-16 სთ
**ასისტენტი:** ასისტენტ. პროფესორი: შორენა ძამუკაშვილი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი


**სასწავლო კურსის აღწერა:** სასწავლო კურსი ერთსემესტრიანია და სტუდენტის მიერ კრედიტის მოსაპოვებლად დახარჯული დრო ასე ნაწილდება: სულ 125 სთ. აქედან: 30 საკონტაქტო საათია, რაც ნიშნავს სტუდენტთა მიერ ლექტორთან კვირაში 2 საკონტაქტო საათს. აქედან 15 სთ სალექციოა, 15სთ – ჯგუფში მუშაობის, რომლის ფარგლებშიც სემინარული საკითხების განხილვასთან ერთად ჩატარდება 3 – შუალედური წერა, აგრეთვე სტუდენტთა განრიგის მიხედვით დანიშნული ზეპირი პრეზენტაციები. დარჩენილი 95 სთ სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის წილია. სასწავლო კურსში განიხილება ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, მისი განხორციელების გზები და საშუალებები. აქედან გამომდინარე,

**სასწავლო კურსის მიზანი და ამოცანებია:** სტუდენტი დაეუფლოს ცოდნას:
- ინკლუზიური განათლების მიზნებისა და ამოცანების შესახებ;
- ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების აუცილებელი რესურსების შესახებ.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** კრედიტები კურსებში: „პედაგოგიკა“, „სპეციალური პედაგოგიკა“, აგრეთვე კრედიტები ფსიქოლოგიურ დისციპლინებში.

## სალექციო კურსის შედეგი:

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ეცოდინებათ ინკლუზიური განათლების პრინციპები და ზოგადი საფუძვლები | სტუდენტი ფლობს საფუძვლიან ცოდნას: ინკლუზიური განათლების ისტორიის შესახებ; ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპებისა და საქართველოში მისი განხორციელების მდგომარეობის შესახებ; ინკლუზიური განათლების მოდელების (სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია, ინტეგრირებული სწავლება) შესახებ; |

| | | |
|---|---|---|
| | | ინკლუზიური განათლების განხორციელე-ბის აუცილებელი რესურსების შესახებ (სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, სპეციალური სასწავლო გეგმა, რესურს-ოთახი. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდ-ნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | აქვს სპეც. საგანამანთლებლო საჭირო-ების მქონე ბავშვებზე დაკვირვების ჩა-ტარების უნარ-ჩვევები, შეუძლია შეად-გინოს და განახორციელოს კონკრეტულ ბავშვზე მორგებული სპეციალური სას-წავლო გეგმა. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეეძლებათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; წარმატებულად მუშაობენ ჯგუფებში, როგორც ლიდერი, ასევე წევრი. შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგი-ების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, პრე-ზენტაციის მომზადება და წარმოდგენა. |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეუძლია ინკლუზიური განათლების საკითხებში სამეცნიერო სიახლეების მოძიება, აგრეთვე ამ სფეროს უწყვეტი განვითარების დაგეგმვისა და განხორ-ციელების უნარი |
| ღირებულებები | აქვს საგანმანათლებლო საქმი-ანობაში არსებული ღირებულებების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი. | ეფექტურად შეუძლია ურთიერთობა სხვასასხვა უნარებისა და შესაძლებ-ლობების მქონე ბავშვებთან და მათ მშობლებთან. ადექვატურად აფასებს სიტუაციურ პრობლემებს და ეძებს ამ პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალურ გზებს. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია.

**სავალდებულო ლიტერატურა:**

1) გაგოშიძე, თ, ჭინჭარაული, თ, ფილაური, ქ, და ბაგრატიონი, მ. *„ინკლუზიური განათლების პრინციპები“*; გამომცემლობა „ნეკერი“, 2008 წ.
2) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. *„ვისწავლოთ ერთად; ინკლუზიური განათლება“*. თბილისი. 2009 წელი.

**სტუდენტთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

შეფასების 100% – იანი სისტემის პარამეტრებია:

<u>1) შუალედური შეფასება</u> – მაქსიმალური 60%

მათ შორის:

ა) *2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

*ბ) 4 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (5% x 4).
ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

*გ) ზეპირი პრეზენტაცია* – 10%, რომელზედაც სტუდენტს საშუალება ეძლევა ზეპირსიტყვიერად წარმოაჩინოს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები ამა თუ იმ საკითზე მსჯელობისას. პრეზენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა თვითოეული სტუდენტისათვის და ჩატარების განრიგი თემატიკის გათვალისწინებით და სტუდენტთან შეთანხმებით გაწერილ იქნება სემესტრის დასაწყისში დაახლოვებით მეორე, მესამე ლექციის შემდეგ. რეზენტაციის შეფასება მოხდება ცხრილში მოცემული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |
| თემის გასაგებად წარმოდგება | 3 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 2 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |
| სულ: | 10 ქულა |

- შეგახსენებთ, რომ ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).

2) შემაჯამებელი წერითი გამოცდა – მაქს. 40 ქულა (გამოცდა ჩატარდება ბილეთების გამოყენებით, ყოველ ბილეთში შევა 2 საკითხი, გამოცდას დაეთმობა 2 საათი)

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

## სასწავლო კურსის სტრუქტურა:

### ლექცია №1

რა არის ინკლუზიური განათლება; ინკლუზიური განათლების არგუმენტები და კონტრარგუმენტები; ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული შიშები.
ინკლუზიური განათლების უპირატესობა და სარგებელი.
**ლიტ:** 1. გვ: 28-41

### ლექცია №2

ინკლუზიური სწავლების მოდელები

**ლიტ:** 1. გვ: 41-49

**ლექცია №3**

არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა; სად შეიძლება იყოს პრობლემა. ყურადღება და იმპულსის კონტროლი. ეხსიერება. მეტყველება

**ლიტ:** 1. გვ: 49-58

**ლექცია №4**

ვიზუალურ-სივრცითი უნარები. ორგანიზაციური უნარები. პიროვნულ-ემოციური სფერო.

**ლიტ:** 1. გვ: 58-61

**ლექცია №5**

მოტორული განვითარება. შემთხვევის გარჩევა. არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობის ნიშნები.

**ლიტ:** 1. გვ: 61-71

**ლექცია №6**

კლასის მართვა. ინკლუზიური კლასის ორგანიზაცია. ფიზიკური გარემო.

**ლიტ:** 1. გვ: 71-78

**ლექცია №7**

საკლასო რუტინა: საკლასო წესები. ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები სასკოლო ოთახში

**ლიტ:** 1. გვ: 78-109

**ლექცია №8**

არასასურველი ქცევის შეფასება და მართვა. ქცევის შეფასებისა და მართვის ზოგადი პრინციპები. აგრესიული ქცევა.

**ლიტ:** 1. გვ: 109-133

**ლექცია №9**

დამხმარე საშუალებების გამოყენება და მოდიფიკაცია.

**ლიტ:** 1. გვ: 133-137

**ლექცია №10**

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. რა არის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა. რა არის ი.ს.პ. გუნდი

**ლიტ:** 1. გვ: 137-145

**ლექცია №11**

ი.ს.პ. და ეროვნული სასწავლო გეგმა

**lit:** 1. gv: 145-152

**ლექცია №12**

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და განხორციელების პროცესი. მიმართულების განსაზღვრა

**lit:** 1. gv: 152-157

**ლექცია №13**

ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება. ი.ს.პ.-ს შექმნა და გაფორმება

L **lit:** 1. gv: 157-168

**ლექცია №14**

ი.ს.პ.-ს განხორციელება, შეფასება და პერიოდული მიმოხილვა

**ლიტ:** 1. გვ: 168-177

**ლექცია №15**

შემაჯამებელი ლექცია

**წარმატებას გისურვებთ!**